ცხოვრებით კმაყოფილებასა და აღქმული სოციალურ მხარდაჭერის მიმართება მშობიარობის შემდგომ დეპრესიასთან

ნათია მარღანია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: კლინიკური ფსიქოლოგია

ხელმძღვანელი: მარინა გეგელაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი სრულად ეფუძნება ჩემს ინდივიდუალურ მუშაობას და შექმნილია ჩემი ავტორობით. ნაშრომში არ არის გამოყენებული სხვა ავტორის მიერ გამოქვეყნებული, გამოსაქვეყნებლად მიღებული ან დასაცავად წარდგენილი მასალა ისე, რომ იგი სათანადოდ არ იყოს მითითებული ან ციტირებული.

06.06.2025

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანი იყო ცხოვრებით კმაყოფილებასა და აღქმულ სოციალურ მხარდაჭერის მიმართების შესწავლა ახლად ნამშობიარებ ქალებში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 100-მა ქალმა, მშობიარობიდან პირველ წელს, რომლებმაც შეავსეს შემდეგი კითხვარი: ცხოვრებით კმაყოფილების სკალა (LSS), აღქმული სოციალური მხარდაჭერის მრავალგანზომილებიანი სკალა (MSPSS), ედინბურგის პოსტნატალური დეპრესიის სკალა (EPDS) და ეპიდემოლოგიური ცენტრის დეპრესიის კითხვარი - ბოსტონის ფორმა (CESD).

კვლევის შედეგმა აჩვენა, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების (მონაწილეს ან მისი ოჯახის წევრების) არსებობა მნიშვნელოვნად ასოცირდება მშობიარობის შემდგომი დეპრესიის სიმპტომებთან. აღქმულ სოციალურ მხარდაჭერასა და მშობიარობის შემდგომ დეპრესიულ სიმპტომებს შორის კავშირი უარყოფითი აღმოჩნდა, თუმცა სტატისტიკურად არა სარწმუნო. მიუხედავად ამისა, კავშირის ტენდენცია თეორიულად მნიშვნელოვანია და მიუთითებს საჭიროებაზე, რომ მომავალში ეს ურთიერთობა სიღრმისეულად იქნას შესწავლილი.

მრავალფაქტორიანმა რეგრესიულმა ანალიზმა ცხადყო, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის ისტორია წარმოადგენს ერთადერთ სტატისტიკურად სარწმუნო პრედიქტორს, მაშინ როცა ცხოვრებით კმაყოფილება და აღქმული სოციალური მხარდაჭერა არ აღმოჩნდნენ ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფაქტორები. ანალოგიურად, დემოგრაფიულ ცვლადებს არ ჰქონდათ პროგნოზირებადი ღირებულება.

აღნიშნული მიგნება ხაზს უსვამს ფსიქოსოციალური ფაქტორების გავლენას მშობიარობის შემდგომ ემოციურ კეთილდღეობაზე. მშობიარობის შემდგომი დეპრესიის საკითხის შესწავლა საქართველოში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან აღნიშნული ფენომენის შესახებ მეცნიერული მონაცემები უკიდურესად მწირია. წარდგენილი კვლევა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოში დედათა მენტალურ ჯანმრთელობის საკითხების შესწავლაში და საფუძვლად დაედება მომავალ სამეცნიერო და პრაქტიკულ მიღწევებს.

Abstract

The present study aimed to examine the relationship between life satisfaction, perceived social support, and postpartum depressive symptoms among recently postpartum women. A total of 100 women within the first year after childbirth participated in the study and completed the following self-report questionnaires: the Life Satisfaction Scale (LSS), the Multidimensional Scale of Perceived Social Support (MSPSS), the Edinburgh Postnatal Depression Scale (EPDS), and the Center for Epidemiologic Studies Depression Scale – Boston version (CESD).

The results indicated a significant negative correlation between a history of mental health problems (either personal or familial) and postpartum depressive symptoms. Both perceived social support and life satisfaction showed negative correlations with depressive symptoms, though these did not reach statistical significance but were close to the conventional threshold.

Multiple regression analysis demonstrated that mental health history was the only statistically significant predictor of postpartum depression symptoms, while perceived social support and life satisfaction were not individually significant. Similarly, demographic variables did not play a meaningful predictive role.

These findings emphasize the impact of psychosocial factors on emotional well-being in the postpartum period. Investigating postpartum depression in Georgia is especially important, as scientifically validated data on this issue are extremely limited. This study contributes meaningfully to the growing field of maternal mental health in Georgia and lays the groundwork for future scientific inquiry and targeted intervention strategies.

მადლობა

გულწრფელი მადლიერება მინდა გამოვხატო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ მარინა გეგელაშვილის მიმართ. მისი მაღალი აკადემიური კომპეტენცია, პასუხისმგებლობა და თანადგომა მთელი სამუშაო პროცესის განმავლობაში მნიშვნელოვანი საყრდენი იყო ჩემთვის. ხელმძღვანელი მაწვდიდა კონსტრუქციულ უკუკავშირს და მისი მიზანმიმართული რეკომენდაციებით უწყობდა ხელს კვლევის განვითარებას. მისი მხარდაჭერის გარეშე ნაშრომზე წარმატებული მუშაობა შეუძლებელი იქნებოდა.

მსურს მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც სხვადასხვა ფორმით – იქნება ეს ინფორმაციის გაზიარებით, თემატურ დისკუსიებში მონაწილეობით თუ შეხედულებების დაფიქსირებით – ხელი შემიწყო როგორც კვლევის თემატიკის განსაზღვრასა და განვითარების პროცესში, ასევე კვლევითი იდეების გააზრებასა და დამუშავებაში.

და ბოლოს, მინდა მადლიერება გადავუხადო ჩემს რესპონდენტებს, რომლებმაც კვლევაში მონაწილეობის სურვილი გამოხატეს და საკუთარი გამოცდილების გაზიარებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ნაშრომის შინაარსობრივ სიღრმეზე.